სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

20 მარტი 2024

N 38

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმის წარმოების ფინანსური მხარდაჭერა“ ფარგლებში ფილმის პროექტების დაფინანსების შესახებ

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/257 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, „კონკურსის „სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმის წარმოების ფინანსური მხარდაჭერა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 4 მარტის №30 ბრძანების, „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის „სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმის წარმოების ფინანსური მხარდაჭერა“ ფარგლებში რეგისტრირებული განცხადებების განხილვისა და შეფასების მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 19 მარტის №34 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისიის 2024 წლის 20 მარტის №1 დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 4 მარტის №30 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმის წარმოების ფინანსური მხარდაჭერა“ ფარგლებში დაფინანსდეს შემდეგი ფილმის პროექტები:

ა) **„შხამი“** – პროდიუსერი: სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სცენარის ავტორი და რეჟისორი - ნინო ცქიტიშვილი - 6 887.50 (ექვსი ათას რვაას ოთხმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარით;

ბ) **„ანტიკვარი“** – პროდიუსერი: სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სცენარის ავტორი და რეჟისორი - ბექა ბერაძე – 23 858.30 (ოცდასამი ათას რვაას ორმოცდათვრამეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარით;

გ) **„ჟოლო“** – პროდიუსერი: სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სცენარის ავტორი და რეჟისორი - ია ხიზანიშვილი – 11 460.80 (თერთმეტი ათას ოთხას სამოცი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

2. ბრძანების პირველ პუნქტში განსაზღვრული ფილმის პროექტების წარმოებაში ჩაშვების მიზნით, თანხების გამოყოფა განხორციელდეს პროდიუსერების მიერ ,,ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი